



# IBSU

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**  
**განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებაში**

**ექსტენსიური კითხვის როლი ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესწავლისას**  
**ინგლისური ლექსიკისა და გრამატიკის დაუფლების მიზნით (ერაყის იშუიკის**  
**უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის კონტექსტი)**

**ბუნიაშინ ჩელიქ**  
**სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებებში**

თბილისი, 2016

სამეცნიერო

ნიკოლოზ ფარჯანაზე

ხელმძღვანელი:

---

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი შავი ზღვის  
საერთაშორისო უნივერსიტეტში

---

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. პროფესორი, დოქტორი ნათელა დოლონაზე

---

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ლია თოდუა

---

ოპონენტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მათა ალავეძე

---

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თამარ მიქელაძე

---

3. პროფესორი, დოქტორი დინა ბორაი

---

## შესავალი

### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ექსტენსიური კითხვა განიხილება ენის შესწავლის აუცილებელ კომპონენტად (Richards & Schmidt 2002; Day & Bamford, 1998; Horst, 2005). იგი ენის შემსწავლელს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლოს ენას და გაიუმჯობესონ კითხვის უნარ-ჩვევები (Day & Bamford, 1998). ენის შემსწავლელის კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებასთან ერთად ვითარდება სხვა ენობრივი უნარ-ჩვევები. ექსტენსიური კითხვა ასევე უწყობს ხელს ენის შემსწავლელის მიერ გრამატიკული სტრუქტურებისა და ლექსიკის დაუფლებას (Day & Swan, 1998) და წერის უნარ-ჩვევების ფორმირებას (Tsang, 1996). ექსტენსიური კითხვა ასევე ეხმარება ენის შემსწავლელს სიტყვების ამოცნობაში, ენის სტრუქტურების დაუფლებაში, ლექსიკის განვითარებისა და ზოგადი ცოდნის მიღებაში (Tsang, 1996). ეს კომპონენტები გადამწყვეტია უცხოური ენის დაუფლების პროცესში.

ექსტენსიური კითხვა უზრუნველყოფს იმ სათანადო უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია ენის შესასწავლად, რადგან ექსტენსიური კითხვის მეშვეობით ენის შემსწავლელი მუდმივად შეხებაშია უცხოურ ენასთან. შესაბამისად, შესასწავლ ენასთან მუდმივი კონტაქტის პირობებში ენის შემსწავლელს უადვილდება ენის დაუფლება. უფრო მეტიც, ექსტენსიური კითხვა ავითარებს ზოგად კომპეტენციას; ზოგადი კომპეტენციის მეშვეობით კი იზრდება ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენების შესაძლებლობა.

ენის შესწავლა საკმაოდ ძნელი პროცესია. უცხოური ენის შემსწავლელებისათვის საკმაოდ რთულია ენობრივი უნარ-ჩვევების ფორმირება, თუკი ისინი მუდმივად არ არიან ჩართულები სწავლის პროცესში; სწორედ ამ შესაძლებლობას იძლევა ექსტენსიური კითხვა. იგი ენის შემსწავლელს ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება. ექსტენსიური კითხვის პროცესი თავისუფალია სტრესისაგან და, შესაბამისად, ზრდის ენის შემსწავლელის მოტივაციას. როდესაც ენის შემსწავლელი მეტს კითხულობს და შინაარსი სულ უფრო მეტად ესმის, ენის შესწავლის მიმართ მისი დადებითი განწყობა იზრდება. მას ასევე უჩნდება მეტის მიღწევის სურვილი და თავდაჯერებულობა.

კითხვის პროცესში ლექსიკისა და სტრუქტურების განმეორებით შეხვედრის პირობებში ენის შემსწავლელს უვითარდება ენობრივი ცოდნა და კომპეტენცია. ექსტენსიური კითხვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის ლექსიკური მარაგის ფორმირებაში. ენის შემსწავლელს შესაძლებლობა ეძლევათ ენა საკლასო გარემოს გარეთ შეისწავლონ. ექსტენსიური კითხვა უკეთ ავითარებს ენობრივ უნარ-ჩვევებს (Renandya, Rajan & Jacobs, 1999). კითხვა, მოსმენა, წერა და საუბარი უმჯობესდება, როდესაც ენის შემსწავლელი დიდი მოცულობით კითხულობს უცხოურ ენაზე დაწერილ მასალას. ამდენად, ენის შემსწავლელი უკეთეს შედეგებს აღწევს ენობრივ ტესტებშიც (Gradman & Hanania, 1987).

ექსტენსიური კითხვა ემნის ისეთ სასწავლო გარემოს, რომელშიც ენის შემსწავლელი ბუნებრივი გზით უკეთ სწავლობს უცხოურ ენას. უცხოურ ენაზე დაწერილი მასალის დიდი მოცულობით წაკითხვის პირობებში ენის შემსწავლელი ხედავს კავშირს სიტყვებსა და წინადადებებს შორის და უკეთ იაზრებს, როგორ ფუნქციონირებენ სიტყვები წინადადებებში. ამგვარი ურთიერთმიმართების გათავისება ენის ეფექტურად გამოყენებას უწყობს ხელს. ექსტენსიური კითხვა ავითარებს ენის შემსწავლელის კითხვის უნარ-ჩვევას. თავის მხრივ კი, კითხვა არის ის მედიუმი, რაც აუცილებელია ენის დასაუფლებლად. უფრო მეტიც, კითხვა ხელს უწყობს გარემო სამყაროს შესახებ ცოდნის ფორმირებას და ავითარებს ენის შემსწავლელის ცნობიერებასა და წარმოსახვას. ამდენად, ექსტენსიური კითხვა ხელს უწყობს ადამიანის პიროვნულ ფორმირებას. წასაკითხი მასალა ენის შემსწავლელს აწვდის ინფორმაციას კულტურისა და სამყაროს შესახებ. როდესაც პიროვნებას გააჩნია ინფორმაცია სხვათა კულტურის შესახებ, მას უადვილდება სხვა ადამიანების ქცევის აღქმა-გააზრება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პიროვნების ფორმირებას.

ენის ცოდნის დონის მიხედვით შერჩეული წასაკითხი წიგნები (ენის ფლობის დონის გათვალისწინებით), ე.წ. graded readers, ენის დაუფლებისათვის აუცილებელი ენობრივი მასალაა და ხელს უწყობს შესასწავლ ენაზე პრაქტიკას. ისინი სპეციალურად არის შემუშავებული ენის შემსწავლელთა ენობრივი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად (Wodinsky & Nation, 1988). ამ წიგნების მიზანია,

დაეხმარონ ენის შემსწავლელს სახალისო მიდგომებით ენის ცოდნის გაუმჯობესებაში. ლექსიკა და გრამატიკული სტრუქტურები მეორდება ამ წიგნებში და ეხმარება მკითხველს მათ დამახსოვრებაში ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. ენის ცოდნის დონის მიხედვით შერჩეული წასაკითხი წიგნები წარმოადგენენ დამატებით მასალას ძირითადი სახელმძღვანელოსათვის და მათ გარეშე უცხოური ენის შესწავლა გაცილებით მეტ ძალისხმევას საჭიროებს. ისინი უზრუნველყოფენ ენის შემსწავლელის მოტივირებას და ხელს უწყობენ ენის დაუფლებას სტრესისაგან თავისუფალ გარემოში სხვადასხვა ენოვრივი უნარ-ჩვევების განვითარების მეშვეობით.

ექსტენსიური კითხვის პროცესში მკითხველი კონცენტრირებულია შინაარსზე. შინაარსზე ორიენტირებული სწავლება კი უზრუნველყოფს უცხოური ენის გააზრებულ გამოყენებას კონტექსტში. ამ ტიპის აქტივობის მიზანია, დაეხმაროს ენის შემსწავლელს გაიდრმოს უცხოური ენის ცოდნა და გაიუმჯობესოს კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. თუმცა, ფორმაზე ორიენტირებული მიდგომა ხშირად უფრო ეფექტურ მეთოდად მიიჩნევა და მისი მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ კომუნიკაციის უნარების განვითარებისათვის აუცილებელია, მთავარი აქცენტი გაკეთდეს ენის შემსწავლელის ენობრივ ცოდნაზე. ფორმაზე ორიენტირებულ მიდგომაში ენის შემსწავლელი უმეტეს ყურადღებას უთმობს ლინგვისტურ ელემენტებს. ეს კი მას შესაძლებლობას აძლევს, დეტალურად შეისწავლოს ენობრივი მასალა. როდესაც მთლიანი ყურადღება ფორმაზე არის კონცენტრირებული, ენის შემსწავლელის მთავარი ამოცანაა ენობრივი გამართულობა (გრამატიკული, ლექსიკური თუ სხვა ტიპის შეცდომებისათვის თავის არიდება) დაცვა. ენობრივი გამართულობა კი ენის შემსწავლელს უცხოურ ენაზე კომუნიკაციისას მეტ თავდაჯერებულობას შესძენს. თუმცა, საბოლოოდ ფორმირებული აზრის შესაბამისად, უმჯობესია ფორმაზე და შინაარსზე ორიენტირებული სწავლების შეჯერება (Spada & Lightbown, 2008). ფორმისა და შინაარსის შეჯერების მეშვეობით ენის შემსწავლელი თანადროულად ავითარებს ენობრივ გამართულობასა და შეუფერხებლად მეტყველების უნარ-ჩვევას.

## კვლევის მიზნები

მოცემული კვლევა ერთმანეთს შეუპირისპირებს ექსტენსიურსა და ინტენსიურ კითხვას. მისი მიზანია უცხოური ენის სწავლების პროცესში ექსტენსიური კითხვის დადებითი ფაქტორების გამოვლენა. ამასთანავე, კვლევის მიზანი არის შეისწავლოს და ერთმანეთს შეუპირისპიროს ფორმასა და შინაარსზე ორიენტირებული სწავლება და დაადგინოს, სწავლების რომელ ფორმას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა. შესაბამისად, კვლევის მიზნებია:

- 1) დაადგინოს ექსტენსიური კითხვის როლი უცხოური ლექსიკის დაუფლების პროცესში;
- 2) შეიმუშაოს ექსტენსიური კითხვის ეფექტური მოდელი;
- 3) განიხილოს ე.წ. graded reader-ების როლი ენის შესწავლის პროცესში;
- 4) შეისწავლოს მასწავლებლის როლი ენის ცოდნის დონის მიხედვით შერჩეული წასაკითხი წიგნები გამოყენების პროცესში;
- 5) შეისწავლოს ფორმასა და შინაარსზე დაფუძნებულ სწავლებას შორის განსხვავება;
- 6) შეიმუშაოს კითხვის სათანადო მეთოდოლოგია, რომელიც ეფექტური იქნება ინგლისური ენის სწავლებისას.

## საკვლევი პრობლემა

არსებობს კითხვის უამრავი სტრატეგია, რომელიც გამოიყენება ინგლისური ენის შესწავლისას, მაგრამ არ არსებობს მკაფიოდ გამოკვეთილი სტრატეგია ინგლისურ ენაზე კითხვის დასაუფლებლად. ზოგიერთი სტრატეგია მეტ ყურადღებას ანიჭებს შინაარსს, თუმცა, ასევე მრავალი მიდგომა ფორმას ანიჭებს უპირატესობას. ექსტენსიური კითხვა გულისხმობს დიდი მოცულობის წასაკითხი მასალის კლასგარეშე კითხვას. ამ პროცესში მკითხველი კონცენტრირებულია შინაარსზე, შესაბამისად, მას არ გააჩნია სრულფასოვანი შესაძლებლობა ენობრივი კომპეტენციის გასავითარებლად. მეორე მხრივ, ინტენსიური კითხვის პროცესი მიმდინარეობს კლასში მასწავლებლის ზედამხედველობისა და ხელშეწყობის პირობებში. თუმცა ენის შემსწავლელი ასეთ შემთხვევაში არ კითხულობს დიდი

მოცულობით ინგლისურ ტექსტებს, მას აქვს შესაძლებლობა განვიტაროს ენობრივი კომპეტენცია, მაგალითად, შეისწავლოს გრამატიკული სტრუქტურები ან გაიმდიდროს ლექსიკური მარაგი.

კითხვას უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს უცხოური ენის შესწავლის პროცესში, რადგან იგი დიდად უწყობს ხელს მის დაუფლებას. კითხვის პროცესში ადამიანი სწავლობს ლექსიკას, ეუფლება გრამატიკულ სტრუქტურებს და აცნობიერებს, თუ როგორ ფუნქციონირებენ ისინი წინადადებებში. ამ ტიპის ლინგვისტური კომპეტენცია, რომელსაც ენის შემსწავლელი ივითარებს კითხვის პროცესში, ეხმარება მას სხვა ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრება ხოლმე კითხვის პროცესში - ფორმასა თუ შინაარსზე კონცენტრირება. ზოგიერთი მკითხველი მთავარ ყურადღებას აქცევს შინაარსის გაგება-გააზრებას, ხოლო დანარჩენები კი - გრამატიკულ ფორმებს.

გაგება-გააზრებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს კითხვის პროცესში, რადგან კითხვა წარმოუდგენელია გაგების გარეშე. ენის ზოგიერთი შემსწავლელი უპირატესობას ანიჭებს სტრუქტურას და, შესაბამისად, წასაკითხ მასალაზე მუშაობისას ისინი დეტალურად განიხილავენ ენობრივ სტრუქტურებს. ეს მკითხველი კონცენტრირებულია ფორმაზე. თუმცადა, სხვა მკითხველები სიამოვნებას იღებს კითხვის პროცესისაგან; ისინი ეცნობიან კულტურას, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და კითხვის მეშვეობით ივითარებენ თავიანთ ენობრივ უნარ-ჩვევებს. უამრავი მკითხველი ახერხებს ამ ორი მიდგომის შეჯერებას - შინაარსსა და ფორმაზე კონცენტრირებას. ისინი მიიჩნევენ, რომ სტრუქტურების შესწავლის გარეშე კითხვა ხელს ვერ შეუწყობს ენობრივი ცოდნის დაგროვებას. შესაბამისად, კითხვის პროცესში ისინი თანაბარ ყურადღებას უთმობენ სტრუქტურებსა და შინაარსის გააზრებას.

ყველა მასწავლებელს სათანადოდ არ აქვს გააზრებული კითხვის სწავლების ახალი მიდგომების შემუშავების აუცილებლობა. ეს ახალი მიდგომები კი უნდა გულისხმობდეს კითხვის პროცესში სხვა ენობრივი უნარ-ჩვევების ჩართულობას

და შესაბამისად, მათ დაუფლებას. აქედან გამომდინარე, ენის შემსწავლელებს არა მარტო განუვითარდებათ კითხვის უნარი, არამედ ისინი დაეუფლებიან ლექსიკასა და ლინგვისტურ სტრუქტურებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ენის შემსწავლელთა უმეტესობა თავად არ არის გარკვეული სწავლის რა სტილი არის მათთვის შესაფერისი; შესაბამისად, მასწავლებლის ამოცანაა, დაეხმაროს მათ ისეთი სტილის აღმოჩენაში, რომელიც მათ ენის წარმატებით შესწავლაში დაეხმარებათ.

### **გამოსაკვლევი შეკითხვები**

მოცემულ საკითხზე არსებული ლიტერატურის დეტალურმა შესწავლამ ხელი შეუწყო საკითხის არსში გარკვევას და შესაბამისი შეკითხვების ფორმულირებას:

1. რა გავლენა გააჩნია ექსტენსიურ კითხვას ინგლისური ენის წარმატებით შესწავლაზე?
2. რა გავლენა გააჩნია ინტენსიურ კითხვას ინგლისური ენის წარმატებით შესწავლაზე?
3. რა როლი გააჩნია ენის ცოდნის დონის მიხედვით შერჩეული წასაკითხ წიგნებს ინგლისური ენის შესწავლის პროცესში?
4. რამდენად წარმატებით შეიძლება შინაარსზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება ინგლისური ენის სწავლის პროცესში?
5. რამდენად წარმატებით შეიძლება ფორმაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება ინგლისური ენის სწავლის პროცესში?

### **კვლევის ჰიპოთეზა**

კვლევის ჰიპოთეზა ფორმულირებულია შემდეგნაირად:

ექსტენსიურ კითხვას დიდი გავლენა გააჩნია ენობრივ კომპეტენციაზე და იგი ავითარებს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას, თუკი სწავლა-სწავლების პროცესი ითვალისწინებს შემდეგს:



- ექსტენსიური კითხვა არ ნიშნავს, რომ სტუდენტი თავისუფალია ყველანაირი დავალებებისა და შეფასებისაგან; იგი ნიშნავს განსხვავებულ (შინაარსე ორიენტირებულ, კომუნიკაციურ) დავალებებსა და შეფასებას;
- ექსტენსიური კითხვა უზრუნველყოფს სტუდენტების თავისუფლების მეტ ხარისხს (წასაკითხი მასალის შერჩევა, დავალებებისა და ტესტების შემუშავება, სხვათა თუ საკუთარი ცოდნის შეფასება).

### **კვლევის მეთოდები**

კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები:

- საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი,
- კითხვარები,
- ექსპერიმენტი,
- ექსპერიმენტის მეშვეობით მოპოვებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

კითხვარისა და ექსპერიმენტის მეშვეობით ანალიზისათვის მოვიპოვეთ თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები.

### **კვლევის მნიშვნელობა**

კითხვა მიჩნეულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ენობრივ უნარ-ჩვევად ენის შესწავლის პროცესში, რადგან კითხვის მეშვეობით ხდება იმ აუცილებელი ენობრივი კომპონენტების დაუფლება, რაც ენის შემსწავლელს ესაჭიროება. კითხვა ხელს უწყობს ენობრივი მასალის უკეთ გააზრებას. იგი ასევე უზრუნველყოფს ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურების დაუფლებას, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად. კითხვა მიიჩნევა ენობრივი უნარ-ჩვევების დახვეწის ერთ-ერთ ადვილ საშუალებად. კითხვაზე ორიენტირებული ენის შემსწავლელი უკეთ ივითარებს ენობრივ უნარებს. კითხვის პროცესში ნათლად ჩანს, თუ როგორ გამოიყენება სიტყვები და წინადადებები კონტექსტში და ეს კი ენის შემსწავლელს ენობრივი გამართულობისა და შეუფერხებლად მეტყველების უნარის

განვითარებაში ეხმარება. შედეგად კი ენის შემსწავლელი ეფექტურად იყენებს ენას. ექსტენსიური კითხვა ხელს უწყობს შესასწავლი ენის დაუფლებას ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურების დახმარებით. უფრო მეტიც, იგი ხელს უწყობს ენის შემსწავლელის თავდაჯერებულობას, რაც ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ითვლება უცხოური ენის დაუფლების პროცესში. ინტენსიური კითხვისაგან განსხვავებით, ექსტენსიური კითხვის პროცესში ყურადღება ფოკუსირებულია შინაარსზე და ხდება ენობრივი სტრუქტურების ქვეცნობიერი გზით დაუფლება. ინტენსიური კითხვა კი მიმდინარეობს მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით და ძირითადი ყურადღება ფორმას ეთმობა. რაც შეეხება ამ ორი მიდგომის უპირატესობას ერთმანეთთან მიმართებაში, დღემდე კვლევისა და მეცნიერული მსჯელობის საგნად რჩება. რაც შეეხება მოცემულ ნაშრომს, იგი ხაზს უსვამს ინტენსიური და ექსტენსიური კითხვის ინტეგრირების აუცილებლობას. აუცილებელია როგორც ფორმაზე, ისე შინაარსზე ყურადღების გამახვილება. ინტეგრირებული მიდგომა ენის შემსწავლელს დაეხმარება, პარალელურად განავითაროს როგორც ენობრივი გამართულობა, ისე შეუფერხებლად მეტყველების უნარი. ენის სწავლების ეფექტურობა იზრდება, როდესაც ხდება ინტენსიური და ექსტენსიური კითხვის შეჯერება, რადგან იგი შესაძლებლობას იძლევა, სათანადო ყურადღება დაეთმოს როგორც ენობრივ გამართულობას, ისე მეტყველებასა და კომუნიკაციას დაბრკოლებების გარეშე.

### **კვლევის სიახლე**

მოცემული ნაშრომი არის მცდელობა დააკავშიროს ექსტენსიური და ინტენსიური კითხვა ფორმასა და შინაარსზე კონცენტრირებულ სწავლებასთან. დისერტაცია ყველა ამ ტიპის კითხვას სასარგებლო მიდგომად განიხილავს, მაგრამ ხაზს უსვამს ექსტენსიური და შინაარსზე ორიენტირებული კითხვის უფრო ეფექტური მიდგომების გამოყენების აუცილებლობას. კვლევა გვთავაზობს ექსტენსიური კითხვის გამოყენებას, რომელიც არ უგულებელყოფს გრამატიკისა და ლექსიკის სწავლების აუცილებლობას, მაგრამ ამტკიცებს, რომ ენის ამ ასპექტების სწავლებისას აუცილებელია კომუნიკაციური, ანუ შინაარსზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება; ეს არის ინოვაციური მიდგომა, რომელიც განსხვავებული

ექსტენსიური კითხვის ტრადიციული გაგებისაგან; ტრადიციული გააზრებით კი ექსტენსიური კითხვა გულისხმობს მხოლოდ სიამოვნებისათვის კითხვას და არ ითვალისწინებს რაიმე ენობრივი დავალებების შესრულებასა და შეფასებას.

მოცემული საკითხი სიახლეს წარმოადგენს ერაცის იმ რეგიონისათვის, სადაც კვლევა ჩატარდა და სადაც სწავლების პროცესში უმეტესად გამოიყენება ინტენსიური და ფორმაზე ორიენტირებული კითხვის მეთოდოლოგია.

### **ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება**

კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ ისეთი საკითხები, როგორცაა ინტენსიური და ექსტენსიური, ფორმასა და შინაარსზე ორიენტირებული კითხვა, დონებრივი საკითხავებისა და მასწავლებლის როლი სწავლების პროცესში ექსტენსიური კითხვის გამოყენებისას. კვლევის შედეგების შესაბამისად ნაშრომი ხაზს უსვამს ექსტენსიური კითხვის ორიგინალურ გამოყენებას, რომელიც გულისხმობს სტუდენტის უფრო აქტიურ როლს ენის ათვისების პროცესში.

ნაშრომი ექსტენსიურ კითხვას განიხილავს უცხოური ენის დაუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდად და არა კითხვის პროცესიდან სიამოვნების მიღების უბრალო საშუალებად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ როგორც ექსტენსიურ, ასევე ინტენსიურ კითხვას გააჩნია უპირატესობა; შესაბამისად, მასწავლებელმა ორივე მიდგომა უნდა გამოიყენოს ენის სწავლების პროცესში. კითხვის ორივე სტრატეგიის დანერგვა ენის სწავლების პროცესს მეტ პრაქტიკულ ხასიათს შესძენს.

ნაშრომს გააჩნია დიდი პრაქტიკული ღირებულება, რადგან ის ავითარებს ენის ათვისების პრაქტიკულ მოდელს, რომელიც ეფუძნება ექსტენსიურ კითხვას; ეს მიდგომა თანაბრად გამოსადეგია სტუდენტების, მასწავლებლისა და მკვლევარებისათვის.

### **ნაშრომის სტრუქტურა და მასში შემავალი თავები**

დისერტაცია მოიცავს შესავალს, სამ თავს, დასკვნებს, ლიტერატურის სიასა და მრავალ დანართს.

პირველ თავში განმარტებულია ექსტენსიური კითხვის არსი და რა შედეგები მიიღწევა მოცემული მიდგომის სასწავლო გარემოში დანერგვის შედეგად. ექსტენსიური კითხვა შეპირისპირებულია ინტენსიურ კითხვასთან. პირველი თავი ასევე განიხილავს ენობრივი უნარ-ცვლელის დონეების გათვალისწინებით ორგანიზებული წასაკითხი წიგნების როლს ენის შესწავლის პროცესში და იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორ შეიძლება მათი მეშვეობით ექსტენსიური კითხვის დანერგვა სასწავლო გარემოს მიღმა.

მეორე თავი განიხილავს ფორმასა და შინაარსზე კონცენტრირებული სწავლების მეთოდებს. განმარტებულია ტერმინები „შინაარსზე კონცენტრირებული“ და „ფორმაზე კონცენტრირებული“ და განხილულია მათი როლი ენის შესწავლის პროცესში.

მესამე თავში განხილულია იშიკ უნივერსიტეტში (ერაყი) ჩარატებული კვლევა. მოცემულია კვლევის პროცესში მოპოვებული მონაცემების ანალიზი. ანალიზის შედეგად მიღებულია მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილებსა და გრაფიკებში. ასევე წარმოდგენილია კვლევის პროცესში გაკეთებული მონაპოვრები და ისინი შეჯამებულია კონკრეტულ დასკვნებში.

### **იშიკ უნივერსიტეტში ჩარატებული კვლევა**

მოცემულ კვლევაში მონაწილეობას იღებდა ორი ჯგუფი - საკონტროლო და ექსპერიმენტული. ორივე ჯგუფი შეირჩა ერთი და იმავე ენობრივი კომპეტენციის დონიდან (საშუალოს-წინა) შემთხვევითობის პრინციპის გამოყენებით. ისინი იყვნენ იშიკის უნივერსიტეტის მოსამსახურებელი კურსების სტუდენტები. სწავლების ენა ყველა ფაკულტეტზე არის ინგლისური. ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრასთან ერთად ჩატარდა გამოკითხვა ჯგუფში შემავალი ენის შემსწავლელთა კითხვის უნარ-ჩვევებისა და სტილის დასადგენად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფები არ დაყოფილა ამ გამოკითხვის შედეგების მიხედვით. გამოკითხვის მიზანი იყო სტუდენტების კითხვის პროცესის მიმართ დამოკიდებულების დადგენა. სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ რამდენიმე

დებულება ლიკერტის სკალის მიხედვით (1 ქულა - სრულიად არ ვიზიარებ → 5 ქულა - მთლიანად ვიზიარებ). შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 3.1-ში.

**ცხრილი 3.1. ჯგუფებში შემავალი ენის შემსწავლელების მოსაზრებები ექსტენსიური კითხვის შესახებ.**

	საკონტროლო ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი
კითხვა სასარგებლოა	3.8	3.9
კითხულობენ ... გვერდს კვირაში	5.5 p.	5.7 p.
კითხვა ავითარებს ლექსიკის ცოდნას	4.0	3.9
კითხვა ავითარებს გრამატიკის ცოდნას	3.4	3.5
კითხვა ავითარებს სხვა ენობრივ უნარ-ჩვევებს	3.6	3.7
კითხვა ავითარებს ენის გამართულად გამოყენების უნარს	3.3	3.4
კითხვა ავითარებს სპონტანური მეტყველების უნარს	3.5	3.6

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ორივე ჯგუფის ექსპერიმენტამდელი შედეგები მსგავსია. სტუდენტებს გააზრებული აქვთ კითხვის მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი, მისი გავლენა ლექსიკის ფორმირებაზე; თუმცადა, ისინი არ კითხულობენ დიდი მოცულობით საკითხავებს (კვირაში საშუალოდ 5.5-5.7 გვერდი).

ექსპერიმენტის ხანგრძლივობა იყო 9 კვირა. კვლევის დაწყებად ჩატარდა პრე-ტესტი. კვლევის მსვლელობის მე-5 კვირაში კი ჩატარდა ტესტი, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტების ენობრივი პროგრესის შემოწმებას. კვლევის დასრულებისას ასევე ჩატარდა პოსტ-ტესტი; პრე-ტესტისათვის გამოყენებული იყო KET (საბაზისო ცოდნის განმსაზღვრელი ტესტი) ტესტი - ელემენტარული დონის გამოცდა, რომელმაც შეამოწმა ენის შემსწავლელთა საბაზისო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. პრე-ტესტი შედგებოდა სამი ნაწილისაგან:

კითხვისა და წერის ნაწილი, რომლის მიზანია, შეამოწმოს, შეუძლია თუ არა ადმიანს უცხოურ ენაზე მარტივი ტექსტის გაგება და ასევე მარტივი წინადადებების წერა.
მოსმენის ნაწილი, რომელიც აჩვენებს, შეუძლია თუ არა ადმიანს მარტივი ინსტრუქციების გაგება-გააზრება.
საუბრის ნაწილი, რომელიც აჩვენებს, შეუძლია თუ არა ადამიანს უცხოურ ენაზე მარტივი კომუნიკაცია.

პრე-ტესტი ჩატარდა, რათა მასწავლებელს შეეძინოდა წარმოდგენა ენის შემსწავლელთა ენობრივი კომპეტენციის შესახებ. პრეტესტის შემდეგ ენის ექსპერიმენტული ჯგუფის შემსწავლელებმა დაიწყეს ექსტენსიური კითხვის პროგრამა, ხოლო საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები გადიოდნენ ინტენსიური კითხვის პროგრამას. ორივე ჯგუფში შემავალი სტუდენტი ფლობდა ინგლისურ ენას საშუალოს-წინა დონეზე. ორივე ჯგუფის სტუდენტები აქცევდნენ ყურადღებას წასაკითხის შინაარსსაც და ფორმასაც, ხოლო საკონტროლო ჯგუფი ყურადღებას ამახვილებდა ფორმაზე და ექსპერიმენტული კი - შინაარსზე. ცხრილში 3.2 შედარებულია აქტივობები ორივე ჯგუფში.

**Table 3.2. კითხვის აქტივობები საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფში**

საკონტროლო ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი
კვირაში კითხულობენ ერთ მოთხრობას კვირაში	კვირაში კითხულობს 2-4 მოთხრობას
უსმენენ მოთხრობად ინგლისურ ენაზე (ჩაწერილს ან მასწავლებლის მიერ წაკითხულს)	უსმენენ ინგლისურ ენაზე მოთხრობას (ერთმანეთის მიერ მოყოლილს)
ასრულებენ გრამატიკულ და ლექსიკურ სავარჯიშოებს და წაკითხულის გაგების დავალებებს	მონაწილეობენ დისკუსიებსა და პრეზენტაციებში.
მასწავლებელი დეტალურად უხსნის მოსწავლეებს წასაკითხ მასალაში სემავალ ლექსიკასა და გრამატიკას	ლინგვისტური ფორმის ღრმა სესწავლას არა აქვს ადგილი, მოსწავლეები დამოუკიდებლად ეუფლებიან მას ან ერთმანეთის დახმარებით, როცა ამის გარეშე არ ესმით წაკითხულის შინაარსი
მოსწავლეები გადმოსცემენ ან წერენ წაკითხულის შინაარსს	მოსწავლეები გადმოსცემენ ან წერენ წაკითხულის შინაარსს, ასევე წერენ ესეებს თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია

	წაკითხულ მასალასთან
--	---------------------

**ცხრილი 3.3. ენობრივი უნარები, რომლებზეც სტუდენტები ამახვილებდნენ ყურადღებას ექსპერიმენტის ფარგლებში**

საკონტროლო ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი
კითხვის უნარ-ჩვევები: დეტალური გაგება-გააზრება	კითხვის უნარ-ჩვევები: ძირითადი შინაარსის გაგება-გააზრება
მოსმენის უნარი: ჩანაწერები და მასწავლებლის მონათხრობი	მოსმენის უნარი: ერთმანეთის მოსმენა
საუბრის უნარი (რეპროდუქცია)	საუბრის უნარი (რეპროდუქცია და პროდუქცია)
წერის უნარი (რეპროდუქცია)	წერის უნარი (რეპროდუქცია და პროდუქცია)

ექსპერიმენტულ ჯგუფში ექსტენსიური კითხვის სამი მნიშვნელოვანი მიზანი იყო:

1. კითხვის უნარ-ჩვევების სრულყოფა (სისწრაფე, წაკითხულის მოცულობის გაზრდა და გააზრების დონის სრულყოფა)
2. სტუდენტების ლექსიკური ცოდნის გაღრმავება
3. სტუდენტების მიერ გრამატიკული სტრუქტურების დაუფლების ხელშეწყობა

ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები კითხულობდნენ და უსმენდნენ წასაკითხ მასალებს დონობრივი საკითხავებიდან; ისინი ასრულებდნენ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს. დამატებით, წაკითხულის მოკლე შინაარსს სტუდენტები ინდივიდუალურად მოუთხრობდნენ მასწავლებელს. დამატებითი შეკითხვების მეშვეობით ლექტორი ამოწმებდა, რამდენად სწორად გაიაზრეს სტუდენტებმა წაკითხულის შინაარსი. შეკითხვები ასევე ეხებოდა გრამატიკასა და ლექსიკას. შესაბამისად, სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა, მიეღოთ პრაქტიკა ინგლისური ენის გამოყენების კუთხით, რაც მათ ეხმარებოდათ კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებაში. ლექტორი ასევე აწყობდა დისკუსიას სამ ან ოთხ სტუდენტს შორის, რომელთაც წაკითხეს ერთი და იგივე ტექსტი. დისკუსია ენის შემსწავლელებს შესაძლებლობას აძლევდა განვიითარებინათ კომუნიკაციური უნარები - სტუდენტები იყენებდნენ ახლად შესწავლილ სიტყვებსა და სტრუქტურებს. მოცემული აქტივობები სტუდენტებს

ეხმარებოდა, არ დაევიწყებინათ ახალი სიტყვები და შესწავლილი გრამატიკული სტრუქტურები. სტუდენტებსა და ლექტორს შორის კომუნიკაციის მიზანი იყო, სტუდენტებს გამოეყენებინათ შესწავლილი სიტყვები. ამ ატივობებთან ერთად ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები წერდნენ წაკითხულის მოკლე შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ წერა არ ითვლება მაინცდამაინც საინტერესო დავალებად ენის შემსწავლელთათვის, არ შეიძლება დავაკნინოთ მისი როლი ენის შესწავლის პროცესში. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები კითხვის, მოსმენისა და საუბრის სავარჯიშოების შემდეგ წერის მეშვეობით განამტკიცებდნენ შესწავლილ ლექსიკასა და გრამატიკულ სტრუქტურებს.

საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები შესასწავლი ტექსტის წაკითხვის შემდეგ დეტალურად სწავლობდნენ მასში შემავალ გრამატიკულ და ლექსიკურ მასალას მასწავლებლის უშუალო მონაწილეობით და მათ მიერ შესწავლილი მასალის ცოდნა მოწმდებოდა სავარჯიშოების მეშვეობით. ლექტორი მათ აძლევდა შეკითხვებს წაკითხულ მასალასთან დაკავშირებით და თითოეული სტუდენტისთვის გამოყოფდა 20 წუთს, რათა შეემოწმებინა მის მიერ წაკითხულის გაგება-გააზრება. შეკითხვებზე მცდარი პასუხის გაცემისას ან ლექსიკური და გრამატიკული შეცდომების დაშვების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდებოდა მათი გასწორება და ლექტორი სთხოვდა სტუდენტებს მასალის საკუთარ წინადადებებში გამოყენებას, რათა დარწმუნებულიყო, რომ ენის შემსწავლელები სწორად იყენებდნენ ლექსიკასა და გრამატიკულ სტრუქტურებს. დამატებით, წაკითხული ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს სტუდენტებს ენის პრაქტიკის შესაძლებლობა ეძლეოდათ.

ექსპერიმენტის მსვლელობისას ორივე ჯგუფის სტუდენტები აკეთებდნენ პროგრეს ტესტს, რომლის მიზანიც იყო სტუდენტების წინსვლის შემოწმება. ეს ტესტები მოიცავდნენ გრამატიკულ და ლექსიკურ სავარჯიშოებს და ასევე კითხვის უნარ-ჩვევების დონის შესამოწმებელ ტესტებს. სტუდენტების წინსვლის შესამოწმებლად ლექტორი იყენებდა PET (კემბრიჯის სასერთიფიკატო გამოცდა - საშუალო დონე) ტესტებს. დასკვნით ეტაპზე ლექტორმა მათ ჩაუტარა FCE (ზემო საშუალო დონის ტესტი) ტესტები.



## **სასწავლო მასალების შერჩევა და შემუშავება**

ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მეშვეობით მიეწოდათ დაახლოებით 500 ინგლისური წასაკითხი მასალების მომცველი წიგნი - ენეს ფლობის სხვადასხვა დონეებისთვის - გამოცემული ოქსფორდის, კემბრიჯისა და პენგვინის გამომცემლობების მიერ. ექსტენსიური კითხვის პროგრამის მსვლელობისას გამოყენებული იყო დეისა და ბამფორდის (Day & Bamford, 2002) პრინციპები. ენის შემსწავლელი ირჩევდნენ წასაკითხ მასალებს თავიანთი ინტერესის მიხედვით და მათ მიეცათ უფლება, შეეწყვიტათ კითხვა, თუკი წიგნი მათ არ დააინტერესებდათ. მათ ასევე შეეძლოთ კითხვის შეწყვეტა, თუკი წასაკითხი მასალა მათ ენობრივი კომპეტენციასთან შედარებით რთული აღმოჩნდებოდა. სტუდენტები წიგნებს ირჩევდნენ ჟანრის, სათაურის, გარეკანზე მოცემული სურათებისა და წიგნის მოცულობის მიხედვით. მოგვიანებით კი ისინი რეკომენდაციას უწევდნენ წიგნებს, რომელიც მათ მოეწონათ. ლექტორი აფიქსირებდა სტუდენტების მიერ წაკითხული წიგნების სათაურებს, ჟანრს, გვერდების რაოდენობას. საოფისე საათების დროს ლექტორი შეკითხვებს უსვამდა სტუდენტებს, რათა შეემოწმებინა წაკითხულის გაგება-გააზრება.

საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები ყოველ კვირას კითხულობდნენ ერთ მოთხრობას. მათ ასევე მოეთხოვებოდათ წაკითხულის გაგებასთან დაკავშირებით მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ლექტორი ამოწმებდა მათ პასუხებს და დაუყოვნებლივ ხდებოდა არასწორ პასუხებზე რეაგირება.

## **კვლევის დაგეგმვა**

მოცემულმა კვლევამ გამოიყენა როგორ თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მიდგომა. კვლევის ფარგლებში მოპოვებული და გაანალიზებული რაოდენობრივი მონაცემები:

- ა) ექსპერიმენტამდელი, ექსპერიმენტის მსვლელობისა და ექსპერიმენტის შემდგომ ჩატარებული ტესტების შედეგად მიღებული მონაცემები (PET, KET და FCE);

ბ) გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნის შემოწმებაზე გათვლილი ყოველკვირეული ქვიზების შედეგები.

კვლევამ თვისებრივი მონაცემები მოიპოვა სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან.

### **საკვლევი ჯგუფების შერჩევა**

მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო სტუდენტები და ლექტორები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იშიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის სტუდენტებმა და ლექტორებმა. ენის შემსწავლელთა ორი საკვლევი ჯგუფი შეირჩა შემთხვევითობის პრინციპით, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტისაგან მივიღეთ კვლევის ჩატარების ნებართვა. თითოეულ ჯგუფში შევიდა 20 სტუდენტი, ასე რომ კვლევისათვის საბოლოოდ შეირჩა 40 სტუდენტი. ორივე ჯგუფში შემავალი სტუდენტები შეირჩა არსებული საშუალოს-წინა ენობრივ დონეზე მყოფი 4 ჯგუფიდან. ერთი და იმავე დონის სტუდენტების შერჩევა სავალდებულო იყო მონაცემების შედაების შესაზღვრებლობის თვალსაზრისით. ენობრივი დონის გარდა სტუდენტების მოთავსებისას ექსპერიმენტულ ან საკონტროლო ჯგუფში არ გამოგვიყენებია რაიმე კრიტერიუმი და ყოველი მონაწილე გამოვლინდა შემთხვევითობის პრინციპით.

ლექტორები მოცემულ კვლევაში ჩაერთვნენ საკუთარი სურვილის შესაბამისად. თითოეული მათგანი იყო იშიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის მასწავლებელი. წინა-საშუალო დონეზე სტუდენტებს ჰყავთ 10 მასწავლებელი ინგლისურ ენაში და საბოლოოდ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ინტერვიუ ჩატარდა 5 ლექტორს, რომლებიც ორივე ჯგუფში ასწავლიდნენ სხვადასხვა ენობრივ საგნებს. ასევე შეირჩა 5 სტუდენტი თითოეული ჯგუფიდან, როგორც საკონტროლო, ასევე ექსპერიმენტულიდან, და მათაც ჩაუტარდა ინტერვიუ. სტუდენტები შეირჩა სპონტანურად თავიანთი სურვილის შესაბამისად. ასე რომ ისინი მოხალისეებად ჩართვნენ კვლევაში.

### **მონაცემების შეგროვება**

ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებთან ჩატარებული ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს მიზანი იყო ენის შემსწავლელთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შემოწმება. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ გამოიკითხა 10 სტუდენტი და 5 ლექტორი. ინტერვიუს მეშვეობით მკვლევარმა მოიპოვა ინფორმაცია, თუ რა და როგორ შეისწავლეს სტუდენტებმა ექსტენსიური კითხვის პროგრამის შედეგად და როგორ დაეხმარა მიღებული ცოდნა სხვა სასწავლო კურსების შესწავლაში. ინტერვიუს შედეგად მიღებული მდიდარი მონაცემები მიმოხილულია კვლევის ანალიზის ნაწილში.

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ ჩატარდა იმ ლექტორებთან, ვინც ასწავლიდა ექსპერიმენტში ჩართულ სტუდენტებს. ზოგიერთი ღია ტიპის შეკითხვა მომზადდა წინასწარ, მაგრამ ლექტორებს მიეცათ შესაძლებლობა შეზღუდვის გარეშე გამოეხატათ საკუთარი მოსაზრება. მკვლევარი იყო ნეიტრალური და ხელს უწყობდა რესპონდენტებს აზრის გამოხატვაში. ინტერვიუს მიზანი იყო გამოერკვია, სასარგებლო იყო თ არა ექსტენსიური კითხვის პროგრამა ენის შემსწავლელთათვის და იყენებდნენ თუ არა ისინი ამ პროგრამის მსვლელობისას შესწავლილ სიტყვებსა და სტრუქტურებს. ინტერვიუმ მკვლევარს მისცა შესაძლებლობა, გაერკვია ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს ქონდათ თუ არა უკეთესი აკადემიური მოსწრება მოსამზადებელ სკოლაში. მკვლევარმა ჩაიწერა ინტერვიუ და მოამზადა მისი წერილობითი ვერსია. წერილობითი ვერსიის სიზუსტე გადამოწმდა რესპონდენტებთან.

### **კვლევის ეთიკური ასპექტები**

სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მათ ჯგუფში მოხდებოდა ინოვაციური მიდგომის შემოწმება, მაგრამ ახალი მიდგომა გავლენას არ მოახდენდა მათ აკადემიურ მოსწრებაზე; სტუდენტებს ასევე აუხსნეს, რომ მათ არანაირი ზიანი არ მიადგებოდათ და არ მოხდებოდა მათი პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება. კვლევაში ჩართულმა ზოგიერთმა სტუდენტმა ვერ მიიღო დადებით შეფასება; თუმცა, კვლევაში არ არის მოცემული მათი სახელები და შესაბამისად მათ არანაირი ზიანი მიადგებათ. იმავე პრინციპით, არ გასაჯაროვდა კვლევაში მონაწილე ლექტორების ვინაობა.


სქესი და ეთნიკური წარმომადგენლობა ასევე გათვალისწინებულია კვლევის ეთიკურ კომპონენტში. კვლევაში მონაწილეობდნენ მდედრობით და მამრობით სქესის და ასევე საერთაშორისო სტატუსის მქონე სტუდენტები. კვლევა არ ახდენს ქულების შედარებას სქესისა თუ ეთნიკური ჯგუფის მიხედვით.

### **მონაცემების ანალიზი**


ექსპერიმენტის შედეგები დაზუსტდა საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში ჩატარებული ტესტების მეშვეობით. ექსპერიმენტი გაგრძელდა ცხრა კვირა. მოხდა სტუდენტების ყოველკვირეული შედეგების საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშება და მონაცემები მოცემულია ცხრილებსა და გრაფიკებში. ყოველკვირეული აკადემიური მოსწრება აჩვენებს, თუ რა შედეგებს აღწევდნენ სტუდენტები ყოველკვირეულად. მოცემული ფორმატი იძლეოდა ენის შემსწავლელთა პროგრესის უკეთ დანახვის შესაძლებლობას. კვლევამ შეადარა გრამატიკისა და ლექსიკის ტესტებში მიღებული ყოველკვირეული ქულები წინა კვირის მონაცემებს, რათა დაედგინა იყო თუ არა წინსვლა. მოხდა ექსპერიმენტამდელი, ექსპერიმენტის მსვლელობისას და ექსპერიმენტის დასრულებისას ჩატარებული ტესტების (ყველა ენობრივი უნარის შემოწმებაზე ორიენტირებული) ანალიზი. სტუდენტების მიერ მიღებული შედეგების საშუალო არითმეტიკული მოცემულია ცხრილებში.

მთელი ექსპერიმენტის მსვლელობის შედეგების უკეთ საჩვენებლად მკვლევარმა შეიმუშავა ცხრილები 3.1 და 3.2. საკონტროლო ჯგუფში გრამატიკის შედეგები 69.8-დან გაიზარდა 81.6 წულამდე (11.8 ქულით ან 17%-ით). ექსპერიმენტულ ჯგუფში კი შედეგი იყო ზრდა 72.6 ქულიდან 89.4 ქულამდე (16.8 ქულით ან 23%-ით ზრდა). ლექსიკის ტესტების შედეგად საკონტროლო ჯგუფში დადასტურდა ზრდა 72.4 ქულიდან 84.4 ქულამდე (12 ქულით ან 17%-ით), ხოლო ექსპერიმენტულ ჯგუფში 73.4 ქულიდან 89.4 ქულამდე (16 ქულით ან 22%-ით ზრდა). ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები გაცილებით უკეთესია როგორც აბსოლუტური სიდიდის, ასევე პროცენტული მოცულობის მიხედვით. ამდენად, ყოველკვირეული შედეგები აჩვენებს, რომ ინტენსიური და ექსტენსიური კითხვა ხელს უწყობს გრამატიკული და ლექსიკური ცოდნის გაღრმავებას, თუმცადა,

ექსტენსიური კითხვის პროგრამამ აჩვენა უკეთესი შედეგები და ჯგუფებს შორის მოცემული სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.



**ცხრილი 3.1. გრამატიკული ცოდნის საერთო ზრდა ორივე ჯგუფში ცხრა კვირის განმავლობაში**




**ცხრილი 3.2 ლექსიკის ცოდნის ზრდა ორივე ჯგუფში ცხრა კვირის განმავლობაში**

რაც შეეხება კითხვისა და ზოგადად ენობრივი უნარების განვითარებას, საკონტროლო ჯგუფის პრე-ტესტის შედეგები კითხვაში იყო 15.4, ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩატარებული ტესტის შედეგი 17.55 და პოსტ-ტესტის შედეგი კი 17.86; ასე რომ, შედეგი გაიზარდა 2.46-ით. საშუალო ქულების თვალსაზრისით, პრე-ტესტის შედეგი იყო 69.75, ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩატარებული ტესტის შედეგი - 73.15, ხოლო პოსტ-ტესტის კი - 79.97; შედეგები გაიზარდა 10.2 ქულით.

ექსპერიმენტულ ჯგუფში პრე-ტესტის შედეგი იყო 14.85, ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩატარებული ტესტის - 17.55, ხოლო პოსტ-ტესტის 17.86; ზრდა არის

3.01, რაც ოდნავ მეტია საკონტროლო ჯგუფის შედეგებზე. საერთო ქულა პრე-ტესტიდან არის 67.3, ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩატარებული ტესტის - 73.15 და პოსტ-ტესტისა კი 88.3; ზრდა შეადგენს 21 ქულას, რაც გაცილებით მეტია საკონტროლო ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შედეგებზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ მიღებულია საგრძნობი ზრდა ზოგადი ენობრივი უნარების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ხოლო კითხვის უნარის გაუმჯობესება ნაკლებად შთამბეჭდავია.



### ცხრილი 3. 3. პრე-, შუალედური და პოსტ-ტესტის საშუალო ქულები

მოცემული ცხრილი აჩვენებს ორივე ჯგუფის საერთო შედეგებს. სტუდენტების პრე-, შუალედური და პოსტ-ტესტის ქულების შედარება აჩვენებს, რომ ზოგადი აკადემიური მოსწრება ორივე ჯგუფში გაიზარდა, თუმცა, ზრდა გაცილებით დიდია ექსპერიმენტულ ჯგუფში.

### ინტერვიუს მონაპოვრები

ამ ქვე-თავში შეჯამებულია მკვლევარების აზრები და სტუდენტებისა და ლექტორების ინტერვიუს შედეგები, რომელიც ხატარდა ექსპერიმენტის ფარგლებში.

**ა) ექსტენსიური კითხვა დაეხმარა სტუდენტებს ენის შესწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ფორმირებაში**

ექსტენსიური კითხვა ხელს უწყობს სწავლის მიმართ დადებითი განწყობის შექმნას (Dupuy et al., 1996). დიდი მოცულობის მასალის წაკითხვის შემდეგ სტუდენტებში გაიზარდა ინგლისური ენის შესწავლის ენთუზიაზმი. გრები (Grabe, 1991) ამტკიცებს, რომ ექსტენსიური კითხვა ხელს უწყობს ენის შემსწავლელის თავდაჯერებულობასა და მოტივაციის ზრდას. კითხვის პროცესში შინაარსის აღქმა არის რთული პროცესი, რადგან ენის შემსწავლელს ხვდება უცნობი სიტყვები და სტრუქტურები. შესასწავლ ენაზე დიდი მოცულობით ტექსტების კითხვა კი ხელს უწყობს ავტომატიზმების ჩამოყალიბებას (Grabe, 1991). ერთი და იმავე სიტყვისა თუ სტრუქტურის რამოდენიმეჯერ დანახვის შემთხვევაში ენის შემსწავლელი ადვილად ცნობს მათ; ეს კი მათი მნიშვნელობის დამახსოვრებას უწყობს ხელს. წასაკითხი მასალის გაგება-გააზრება კი, თავის მხრივ, ენის შემსწავლელში ადვილებს თავდაჯერებულობას. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები იყვნენ უფრო მოტივირებული, შეესწავლათ ენა. წასაკითხი მასალის გაგება-გააზრება კი ზრდიდა მათ მოტივაციას, ესწავლათ ახალი ენობრივი ერთეულები.

მოტივაცია გადამწყვეტი ფაქტორია ენის შესასწავლის პროცესში. მოტივირებულ ენის შემსწავლელებს აქვთ მეტი წინსვლა. ენის მასწავლებლის ერთ-ერთი უმთავრესი როლია სტუდენტების მოტივირება. ექსტენსიური კითხვის პროგრამამ უზრუნველყო სტუდენტების მოტივირება საინტერესო წასაკითხი მასალის მეშვეობით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებში გახდნენ თავდაჯერებულნი და გაიზარდა მათი გაკვეთილში ჩართულობა. გაკვეთილის მსვლელობისას სტუდენტები ხალისით მონაწილეობდნენ სასწავლო აქტივობებში და გამოხატავდნენ საკუთარ მოსაზრებებსა თუ ემოციებს. ექსტენსიური კითხვის პროგრამამ უზრუნველყო, რომ სტუდენტები მეტი ენთუზიაზმით შეუდგნენ უცხოური ენის შესწავლას. ექსტენსიური კითხვის პროგრამაში ჩართვამდე

სტუდენტების უმეტესობა საუბრობდა უცხოური ენის შესწავლასთან დაკავშირებულ უარყოფით ემოციებზე. თუმცა, პროგრამაში მონაწილეობისას მათი დამოკიდებულება შეიცვალა.

სტუდენტების დადებითი დამოკიდებულების ფორმირებას ასევე შეუწყო ხელი ინგლისური ენის უნარ-ჩვევების დონეების მიხედვით შერცეულმა წასაკითხ მასალებმა. მათ მოახერხებს ენის შემსწავლელების ყურადღების კონცენტრირება და გაიზარდა სტუდენტების კითხვის სურვილიც.

## **ბ) ექსტენსიური კითხვის პროგრამამ გაზარდა ენის შემსწავლელების ენობრივი კომპეტენცია**

ექსტენსიური კითხვა ხელს უწყობს ენის შესწავლის პროცესს, რადგან იგი ავითარებს მათ ენობრივ უნარებსა და ცოდნას ენის შესახებ. ექსტენსიური კითხვის მეშვეობით სტუდენტები იძენენ შეუფერხებლად და სწრაფად კითხვის უნარს (Walker, 1997). მოცემულმა კვლევამ კი ნამდვილად აჩვენა, რომ სტუდენტების კითხვის უნარები განვითარდა.

ექსტენსიური კითხვა ენის შემსწავლელს ეხმარება ენობრივი უნარების განვითარებაში (Elley, 1991), რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს გაგება-გააზრების პროცესში. იგი ზრდის ენის შემსწავლელის ლექსიკის ცოდნას (Nation, 1993), რაც გაგება-გააზრებისათვის გადამწყვეტი ფაქტორია. სტუდენტები კითხულობდნენ წასაკითხ მასალას და მათ ყოველკვირეულად უტარდებოდათ ტესტები. ტესტირების შედეგებმა აჩვენეს, რომ ენის შემსწავლელებს განუვითარდათ ლექსიკური მარაგი. უფრო მეტიც, კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტები გაკვეთილზე წარმატებით იყენებდნენ კითხვის პროცესში ათვისებულ ლექსიკას. ლაუფერ-დვორკინი (Laufer-Dvorkin, 1981) მიუთითებს ექსტენსიური კითხვის როლზე ლექსიკური მარაგის გაზრდის პროცესში.

ლექსიკური მარაგის გაზრდის ხელშეწყობასთან ერთად, ექსტენსიური კითხვა ეხმარება ენის შემსწავლელს გრამატიკული ცოდნის გაღრმავებასა და მოსმენისა და საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებაში (McCarthy, 2000). კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტებმა გაიღრმავეს ენის შესახებ ცოდნა და დახვეწეს ენობრივი უნარ-



ჩვევები. ტესტებში ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა უკეთესი შედეგები აჩვენეს, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებმა. უფრო მეტიც, მათ შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ გრამატიკულად და ლექსიკურად უფრო სწორი წინადადებები.

ჰუანგ და ვან ნერსები (Huang & Van Naerssen, 1987) ხაზს უსვამენ ექსტენსიური კითხვის როლს კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირების პროცესში. კითხვის მეშვეობით ენის შემსწავლელებს უვითარდებათ ენობრივი ცოდნა და ამასთანავე ისინი სწავლობენ გამართული წინადადებების შედგებას. ასევე სწავლობენ წინადადებების ერთმანეთთან დაკავშირებას.

### **გ) ექსტენსიური კითხვის პროცესში ჩართული სტუდენტები სხვებზე ახდენენ გავლენას**

პროგრამაში ჩართული სტუდენტების ერთუზიაზმი გადამდები აღმოჩნდა. სტუდენტების მიერ ენობრივი უნარების განვითარებამ დადებითი გავლენა მოახდინა სხვა სტუდენტებზე. სტუდენტებს გაუჩნდათ ერთმანეთთან ჯანსაღი კონკურენციის სურვილი. პროგრამაში ჩართული სტუდენტების საგამოცდო ქულებმა და აკადემიურმა მოსწრებამ სხვებზეც იქონია გავლენა.

### **დ) სტუდენტების ზოგადი აკადემიური მოსწრება გაუმჯობესდა**

კითხვა ხელს უწყობს ენის შემსწავლელების ენობრივი კომპეტენციის ფორმირებას (Horst, 2005). მათ მიერ ენის ფლობა ხელს უწყობს წინსვლას (Day & Swan). კითხვა ეხმარებოდა ენის შემსწავლელებს, გამოეყენებინათ შეძენილი ცოდნა. კითხვის პროცესში სტუდენტები განამტკიცებდნენ ადრე ათვისებულ მასალას.

### **ე) კითხვა ხელს უწყობს ენის შემსწავლელის მიერ ტესტებში უკეთესი შედეგების მიღწევას**

კითხვა საგრძნობლად აუმჯობესებს ენის შემსწავლელის შედეგებს ტესტებში (Gradman & Hanania, 1987). იშიკ უნივერსიტეტის მოსამზადებელ პროგრამაში ტარდება ყოველთვიური გამოცდები და სტუდენტების მიერ მიღებული ქულები გავლენას ახდენს მათ წლიურ აკადემიურ მოსწრებაზე. ექსტენსიური კითხვის პროგრამაში ჩართულმა სტუდენტებმა კარგი შედეგები აჩვენეს წაკითხულის

გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, ასევე საუბრისას, ესეს წერისას და მოსმენილის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას.

კითხვის მეშვეობით სტუდენტები მუდმივად არიან ჩართულები სწავლის პროცესში. კითხვისას ისინი აკვირდებიან, თუ როგორ არის წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორ გამოიყენება სიტყვები წინადადებებში და შინაარსობრივად როგორ უკავშირდებიან სიტყვები ერთმანეთს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სტუდენტები ცდილობენ მთლიანი კონტექსტის გააზრებას, რაც მათ წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში ეხმარება. გაგება-გააზრება კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და იგი ეხმარება სტუდენტებს უკეთესი შედეგები აჩვენონ ტესტებში, რადგან წაკითხულის გააზრების გარეშე სტუდენტებს უჭირთ კითხვებზე პასუხის გაცემა.

**ვ) მოთხრობების გამოყენება ხელს უწყობს ენის შესახებ ცოდნის ფორმირებას, კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და პიროვნულ ზრდას**

მოთხრობების გამოყენებას დადებითი გავლენა აქვს ენის შემსწავლელელებზე: ისინი ეცნობიან ავთენტურ ტექსტებს, იღრმავებენ კულტურის შესახებ ცოდნას, იუმჯობესებენ ენობრივ ცოდნას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მათ პიროვნულ ზრდას (Collie & Slater, 1991). ავთენტური მასალა სტუდენტებს აცნობს რეალურ კონტექსტში გამოყენებულ ენას.

მოთხრობებში მოცემულია უამრავი მაგალითები, რომლებიც ენის შემსწავლელებს ეხმარება ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების ათვისებაში. დიდი მოცულობით მასალის წაკითხვისას სტუდენტები იფართოებენ ლექსიკურ მარაგსა და იუმჯობესებენ გრამატიკის ცოდნას. ამასთანავე, ისინი აკვირდებიან, თუ როგორ გამოიყენება სტრუქტურები და სიტყვები კონკრეტულ წინადადებებში. შესაბამისად, ვითარდება მათი ენობრივი უნარები (Povey, 1967).

მოთხრობები ასევე აწვდიან ენის შემსწავლელს ინფორმაციას კულტურის შესახებ (Collie & Slater, 1991). კითხვის შედეგად ვითარდება ენის შემსწავლელის ლექსიკური მარაგი. ისინი იღებენ ინფორმაციას სხვა ქვეყნების ადამიანების

ცხოვრების წესის შესახებ. მოთხოვნების კითხვა ასევე უწყობს ხელს პიროვნულ ზრდასა და ინტელექტუალურ განვითარებას (Carter & Long, 1991).

**ზ) ფორმაზე ორიენტირებული სწავლება უფრო შედეგიანი აღმოჩნდა სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის განვითარების კუთხით**

ფორმაზე ორიენტირებული სწავლება ენის შემსწავლელის ყურადღებას ამახვილებს ენობრივ სიზუსტეზე და, როგორც ლონგი (Long, 1991) ამტკიცებს, „იგი სტუდენტების ყურადღებას პირდაპირ მიმართავს ენობრივ ელემენტებზე“ (გვ.45-46). ხდება გრამატიკული წესების უშუალოდ ახსნა და, შეცდომის დაშვების შემთხვევაში, ხდება დაუყოვნებლივ დამატებითი ინსტრუქციის მიცემა. შესაბამისად, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, დეტალურად შეისწავლონ გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა. ფორმაზე ორიენტირებული სწავლენა სტუდენტებს ეხმარება ენობრივი უნარების განვითარებაში.

ენის შემსწავლელს სჭირდება ენობრივი ცოდნა ენის დაუფლების პროცესში. ფორმაზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს ლექსიკისა და ენობრივი სტრუქტურების დაუფლებას. დე კეისერი (De Keyser, 1998) ამტკიცებს, რომ „გრამტიკა თავდაპირველად უნდა ისწავლებოდეს პირდაპირი სწავლების მეშვეობით, რათა მოხდეს ინფორმაციის მაქსიმალურად გააზრება; შემდგომ ეტაპზე შეიძლება სავარჯიშოების მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს გრამატიკული სტრუქტურების გაცნობიერებას; იოლია ამ ტიპის სწავლების პირობებში ათვისებული ცოდნის კომუნიკაციურ სავარჯიშოებში გამოყენება“ (გვ.58).

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

უცხოურ ენაზე, განსაკუთრებით კი, ინგლისურ ენაზე, კითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური თვალსაზრისით. უწყვეტი პროფესიული განათლება ფაქტობრივად წარმოუდგენელია კითხვისა და წაკითხულის ღრმად გააზრების გარეშე.

უცხოურ ენაზე კითხვისას ვიყენებთ ორ ძირითად ფორმატს: ინტენსიურსა და ექსტენსიურს. ორივეს გააჩნია დადებითი და უარყოფითი ასპექტები, ასე რომ აუცილებელია მათი კომბინირებულად გამოყენება. თუმცა, მოცემული კვლევა აჩვენებს, რომ საბოლოო ჯამში ექსტენსიურ კითხვას გააჩნია უფრო მეტი დადებითი კომპონენტი და იგი უფრო უნდა გამახვლდეს უცხოური ენის შესწავლის პროცესში.

ექსტენსიური კითხვა აყალიბებს დადებით განწყობას სწავლის მიმართ. როდესაც ენის შემსწავლელი კითხულობს დიდი მოცულობით მასალას, მათი მოტივაცია ინგლისური ენის შესწავლის მიმართ იზრდება. ექსტენსიური კითხვის პროცესში ენის შემსწავლელი წააწყდება უცნობ სიტყვებსა და სტრუქტურებს, რაც ხელს უწყობს ლექსიკური და გრამატიკული ცოდნის გაღრმავებას. ექსტენსიური კითხვა ენის შესწავლისაკენ წახალისებს ადამიანს. ეს სტიმული კი აუცილებელია ენის შემსწავლელისათვის, რადგან იგი უკეთეს შედეგებს უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციის განვითარების კუთხით.

ენის შესწავლის პროცესში მოტივაცია არის გადამწყვეტი ფაქტორი. მოტივირებული ენის შემსწავლელი უკეთეს შედეგებს აღწევს. ექსტენსიური კითხვის პროცესში სტუდენტი ჩართულია კითხვის პროცესში, აუმჯობესებს შედეგებს და მას უჩნდება უკეთ სწავლის მოტივაცია.

ექსტენსიური კითხვა სასარგებლოა ენის შესწავლის პროცესში, რადგან იგი ავითარებს ენობრივ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას. იგი ენის შემსწავლელს საშუალებას აძლევს გაიმდიდროს ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნა, რაც გადამწყვეტი ფაქტორია წარმატებული კომუნიკაციისათვის.

ექსტენსიური კითხვის პროცესში ენის შემსწავლელი ეცნობა დიდი რაოდენობით სიტყვებს, სტრუქტურებსა და გამონათქვამებს. ექსტენსიური კითხვა კი ენის შემსწავლელს ეხმარება დაინახოს, თუ როგორ გამოიყენება ეს ენობრივი მასალა რეალურ კონტექსტში.

დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ კითხვა არის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა ენის შესწავლის პროცესში, რადგან იგი მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რაც ენის

შემსწავლელს სჭირდება. ექსტენსიური კითხვა უზრუნველყოფს ლექსიკისა და გრამატიკის დაუფლებას. როდესაც ენის შემსწავლელს გააჩნია ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურების სათანადო მარაგი, მას შეუძლია ენის შეცდომების გარეშე გამოყენება. ამას გარდა, ექსტენსიური კითხვა ეხმარება ენის შემსწავლელს გავლილი მასალის უკეთ დაუფლებაში და ვითარდება მისი უცხოურ ენაზე მეტყველების უნარი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვის პროცესი მოიცავს: ინტენსიურ კითხვას (ფორმაზე ორიენტირებული სწავლება: ფორმებზე კონცენტრაცია → ფორმაზე კონცენტრაცია) და ექსტენსიურ კითხვას (ფორმაზე კონცენტრაცია → შინაარსზე-ფოკუსირებული სწავლება). ამგვარად, სტუდენტი თანდათანობით ივითარებს ენობრივ კომპეტენციას და უკეთ ახდენს შინაარსზე კონცენტრირებას. რადგანაც კითხვის საბოლოო მიზანი არის შინაარსის გაგება-გააზრება, მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს შინაარსზე. თუკი გაგება ვერ მიიღწევა, კითხვის პროცესი აზრს კარგავს.

დისერტაციაში შევიმუშავეთ ექსტენსიური კითხვის ეფექტური მოდელი:

- კითხვის-წინა დავალებები: ზედაპირული კითხვა და ძირითადი აზრის წვდომა, ფონური ცოდნის გამოყენება;
- კითხვის მსვლელობისას შესასრულებელი დავალებები: მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, ძირითადი აზრის წვდომა, ჩანაწერების გაკეთება, ჯგუფის სხვა წევრებთან კომუნიკაცია, რაც ხელს უწყობს შინაარსის გააზრებას;
- კითხვის-შემდგომი დავალებები: დისკუსია, პრეზენტაცია, რეკომენდაცია (მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული დახმარება);
- შეფასება: ჯგუფის წევრების მიერ ერთმანეთის შეფასება, სტუდენტების მიერ შემუშავებული ტესტები, კითხვის, გრამატიკული და ლექსიკური უნარ-ჩვევების თვით-შეფასება.

მოცემული მოდელი გადამოწმდა ექსპერიმენტის მსვლელობისას და მონაცემები ადასტურებენ მის ეფექტურობას. კვლევის ჰიპოთეზა, რომელიც შეეხება

ექსტენსიური კითხვის პოზიტიურ გავლენას ენობრივი უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესზე, გრამატიკისა და ლექსიკის დაუფლებასა და სტუდენტების მოტივაციაზე, დადასტურდა. ამდენად, შესაძლებელია მოცემული მოდელის შეთავაზება ექსტენსიური კითხვის პროცესში.

მკვლევარი ურჩევს ენის მასწავლებლებს, რომ მოახდინონ ექსტენსიური და ინტენსიური კითხვის პროგრამების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში, მეტი ყურადღების მიქცევით ექსტენსიური კითხვისთვის. იგი ხელს უწყობს არა მარტო ზოგადი ენობრივი ცოდნის ფორმირებას, არამედ კონკრეტული ენობრივი უნარის განვითარებას. როდესაც სტუდენტები ჩართული არიან კითხვის პროცესში, მათი ენობრივი კომპეტენცია იზრდება. თუკი ექსტენსიური კითხვა გამოყენებულია სწავლების პროგრამაში, სტუდენტებს ექნებათ ენის კარგი პრაქტიკა. მიგვაჩნია, რომ უფრო ფართო მასშტაბის კვლევის ჩატარების პირობებში შესაძლებელია უფრო სანდო შედეგების მიღება. მოცემული კვლევა ასახავს კონკრეტული უნივერსიტეტის კონტექსტს. თუმცადა, თუკი მოხდება ექსტენსიური კითხვის სხვა პროგრამებში დანერგვა, შესაძლებელია უფრო ხელშესახები შედეგების მიღება და დასაბუთება.

**დისერტაციის ძირითადი შედეგები წარმოდგენილია შემდეგ პუბლიკაციებში:**

Çelik, B. (2015). Comparing the Effectiveness of Form-Focused and Meaning-Focused Instructions in EFL Teaching. *Journal of Education in Black Sea Region* , 1 (1), 5-15.

Çelik, B. (2014). The role of extensive reading in fostering the development of grammar and vocabulary knowledge. *5th International Visible Conference on Foreign Language Teaching and Applied Linguistics* (pp. 37-42). Erbil, Iraq: Irfan Publishing.

Çelik, B. (2014). Developing Writing Skills through Reading. *5th International Visible Conference on Foreign Language Teaching and Applied Linguistics* (pp. 85-89). Erbil, Iraq: Irfan Publishing.